ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2875146

ნომერი: AR1446580

თარიღი : 05.10.2016

გაცემის თარიღი : 05.10.2016

გაცნობის თარიღი : 06.10.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფასანაური , N 15 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირინა კერესელიძე პ/ნ 01013000605
- თბილისი გრ.როზაქიძის გამზ. N 7 ბ. 35

ორგანიზაცია:

- არგო კონსტრაქშენი კოდი: 204565005

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04/10/2016წ. №2862972 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 05/10/2016წ. №AR1446580 განაცხადით მომართა ირინა კერესელიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 04/10/2016წ. №2862972 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 30/07/2015წ. №2039249 ბრძანებით ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), ფასანაურის ქ. №15–ში, შ.პ.ს. „არგო კონსტრქშენის“ საკუთრების მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 31 ივლისიდან 2016 წლის 31 თებერვლის ჩათვლით. ამავე სამსახურის 22/01/2016წ. №2386401 ბრძანებით, ასევე 04/10/2016წ. №2862972 გადაწყვეტილებით მშენებლობის ნებართვის ვადის ნაწილში შევიდა ცვლილება სამსახურის 30/07/2015წ. №2039249 ბრძანებაში. სამსახურის 04/10/2016წ. №2862972 გადაწყვეტილებით ჩანაწერი „ნებართვა ძალაშია 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით“ შეიცვალა „ნებართვა ძალაშია 2017 წლის 1 მაისის ჩათვლით“.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 04/10/2016წ. №2862972 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომაა და მშენებლობის ვადა ნაცვლად 2017 წლის 1 მაისისა გაგრძელებულია 2016 წლის 1 მაისის ჩათვლით.

სამსახურმა განმცხადებლის მოთხოვნისა და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის, მათ შორის მშენებლობის კალენდარული გრაფიკის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა მშენებლობის ვადასთან დაკავშირებული ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და 04/10/2016წ. №2862972 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04/10/2016წ. №2862972 გადაწყვეტილებაში და სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 30 ივლისის №2039249 ბრძანებაში, კერძოდ, „ნებართვა ძალაშია 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით" შეიცვალოს „ნებართვა ძალაშია 2017 წლის 1 მაისის ჩათვლით“;

2. სამსახურის 04/10/2016წ. №2862972 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04/10/2016წ. №2862972 გადაწყვეტილებასთან ერთად;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.